ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის!!!

აღნიშნული ინსტრუქცია განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) საგაკვეთილო საათობრივი ბადის შექმისათვის

1. იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს დისტანციური სასკოლო საათობრივი ბადის ასახვა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), აუცილებელია, რომ ხსენებულ სისტემაში ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა გაიაროს ავტორიზაცია, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



2. ავტორიზაციის გავლის შემდგომ, ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა ნავიგაციის პანელიდან უნდა შეარჩიოს მოდული „განრიგის შექმნა“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



3. შესაბამისი ცხრილის შევსებისათვის აუცილებელია, რომ ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა „საკლასო საგნებში“ დაამატოს შესაბამისი გაკვეთილები (დასწრებული/დისტანციური), როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



4. მოდულ „განრიგის შექმნაში“ შესაბამისი კლასისა და პარალელის არჩევის შემდეგ, ადმინისტრირების უფლების მქონე პირს შესაძლებლობა ექნება ასახოს როგორც დასწრებული, ასევე - დისტანციური ელექტრონული და დისტანციური ჰიბრიდული ცხრილები.

   შენიშვნა: აქტიურია ის ცხრილი, რომელიც მონიშნულია მწვანე ფერით, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



5. შესაბამის ცხრილზე გადასვლის შემდგომ, ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა უნდა განახორციელოს თითოეული დღისათვის გაკვეთილების დამატება გაკვეთილის რიგითობის (ნომერი), საგნის, გაკვეთილის დაწყების თარიღის, გაკვეთილის სიხშირის, გაკვეთილის დაწყებისა და დასრულების დროის მითითებით, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათებზეა ნაჩვენები.







6. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც შესაბამის საგანს ძლევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელიც მას აძლევს უფლებას არ დაესწროს საგნისათვის განკუთვნილ ყველა გაკვეთილს, აუცილებელია, რომ აღნიშნული ინფორმაცია აისახოს შესაბამის ცხრილში. აღნიშნულის ასახვის მიზნით, ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა გაკვეთილის გასწვრივ უნდა შეარჩიოს ღილაკი „მოსწავლეების არჩევა“ და მოუხსენას მონიშვნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათებზეა ნაჩვენები.


პირების მენეჯერი
გაკვეთილის შექმნა
კლასი:
1ა (I ცვლა / ქართული სექტორი)
I სემესტრი (2019-2020)
არააქტიური გაკვეთილების დამალვა
საკლასო საგნები
დასწრებული ცხრილი
დისტანციური ელექტრონული ცხრილი
დისტანციური პიბრიდული ცხრილი
ორშაბათი
გაკვეთილის დამატება
#
გაკვეთილი
დაწყების დრო
დასრულების დრო
დაწყების თარიღი
დასრულების თარიღი
მოქმედებები
1
მათემატიკა
დისტანციური
09:00
09:45
14-09-2021


დაწყების დრო
9:45
მოსწავლეების არჩევა
#
სახელი
გვარი
პირადი N
1
მარიამ
2
ლიილიუ
3
სემი
4
ნანა
არჩევა

7. არასწორად დამატებული გაკვეთილის წაშლის მიზნით, ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა შესაბამისი გაკვეთილის გასწვრივ უნდა შეარჩიოს ღილაკი „გაკვეთილის წაშლა“, როგორც ეს ქვემოთ მითითებულ სურათებზეა ნაჩვენები.





8. იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილის დამატების ეტაპზე არასწორად განხორციელდა გაკვეთილის საწყისი თარიღის განსაზღვრა, შესაბამისი გაკვეთილის გასწვრივ ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა უნდა შეარჩიოს ღილაკი „გაკვეთილის რედაქტირება“ .





9. იმ შემთხვევაში, თუ ღილაკ „გაკვეთილის რედაქტირებით“ ადმინისტრირების უფლების მქონე პირი ვერ განახორციელებს სასურველ ცვლილებას, აუცილებელია გაკვეთილის გაუქმება და ახალი გაკვეთილის დამატება. გაუქმების მიზნით, ადმინისტრირების უფლების მქონე პირმა გაკვეთილის გასწვრივ უნდა შეარჩიოს ღილაკი „გაკვეთილის გაუქმება“ და მიუთითოს გაუქმების დღე, თუ რომელი დღიდან სურს აღნიშნული გაკვეთილის გაუქმება, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათებზეა ნაჩვენები.





10. გაუქმებული გაკვეთილების დამალვა ადმინისტრირების უფლების მქონე პირს შეუძლია ღილაკ „არააქტიური გაკვეთილების დამალვის“ გამოყენებით, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ დისტანციური ელექტრონული და დისტანციური ჰიბრიდული ბადე აქტიური გექნებათ, მხოლოდ იმ ვადით, რა ვადითაც სისტემაში ამის უფლებამოსილება მოგანიჭათ საგანმანათლებლო რესურსცენტრმა. ვადის გასვლის შემდგომ სისტემაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განმეორებით მინიჭების შემთხვევაში, თქვენ გაგიაქტიურდებათ ძველი ბადეები.

<u>გაითვალისწინეთ!</u> რომ მასწავლებლის სტატუსის დანამატის დაანგარიშება განხორციელდება დასწრებული ცხრილის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი სახის ცვლილება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მასწავლებლის სტატუსის დანამატის დაანგარიშებაზე, უნდა აისახოს დასწრებულ ცხრილშიც.

გისურვებთ წარმატებებს!!!